№ 13-14, თბილისი, 1943 წ. აპრილი. გამოცემის წელი XX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 1 მ.

ნიანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4/4 1943 5 ცალ. 48

ტოტალური ომის „გმირები“

მუსოლინი (იტალია)
ამდენ ტანჯვას კი მერჩია
საწამლავი დაბელია.
ჰიტლერი მოხოვს ახალ ჯარებს,
მე კი ხალხი დაბელია.

ჰიტლერი
ტოტალურ ომსა აცხადებს
რაზმავს მოხუცებს, კუტებსა;
ფიქრობს მით გაიხანგრძლივებს
თავის დალუპვის წუთებსა.

ანტონესკუ (რუმინეთი)
ჰიტლერს მივეც რაც გამაჩნდა,
ის კი იბეგ ითხოვს ზეტსა.
ფეხზე წადი ადარა მაქვს,
დავნატრულდი ნავთის წვეთსა.

მანერჰეიმი (ფინლიანდია)
ალარავინ ხალარ დამრჩა, —
ზოგი ტყვეა, ზოგიც მკვდარი.
სხვა გზა არ მაქვს უნდა ჰიტლერს
მივაწოდო ბავშვთა ჯარი.

ხორთი (უნგრეთი)
საბოლოოდ გავიფცქვენი,
არც რამ დამრჩა ტომარაში.
შემრჩა ერთი ინვალიდი—
ივცემ, მაგრამ არ ეგებთ რაშია?

პაველიჩი (ხორვატია)
ვაი რა ვქნა, მე საწყალმა,
მუდამ განსაცდელში ვარ და
კვლავ ჯარს მთხოვენ, თუმც არვინ მყავს
მიხრწნილ მოხუცების გარდა.

ქვისლინგი (ნორვეგია)
გერმანელთა შიში მაკრთობს,
მლიქვნელურად ვუკრავ ტაშსა.
იქნებ ამცდეს მათი რისხვა,
გავუგზავნი ამ ფეშკაშსა.

ლავალი (საფრანგეთი)
რაზ მიქვია მე ხინდისი,
ან ნამუსი, ანუ ერი!?.
მუშებს უმებათ გავუგზავნე
რაკი გრძანებს ფიურერი.

ნახ. მ. ვადბოლსკისა

ᲐᲦᲤᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ

გერმანიაში ადმინისტრატიულ სასჯელს ადებენ იმ მოქალაქეებს, რომელნიც შენიშნული იქნებიან პესიმისტობაში. **გაზეთებიდან**

უჩინარად, უსიხარულოდ ცხოვრობს ბერლინის განაპირა უბანში კურც მახერის ოჯახი. თვითონ კურცი, მოხუცი კაცია, ხელობით დალაქი. ეს პროფესია მამამისმა გვარის მიხედვით ამოურჩია. მასაც, მამისაგან მიეღო, მამას-პაპისაგან და ასე მთელ მის შთამომავლობას მაკრატლის წკაპუნსა და სამართებლის ფხაჭუნში გაუტარებია სიცოცხლე.

წინათ მხიარული ხელოსანი იყო კურცი, ხელი მარჯვე ჰქონდა, საუბარი მიმზიდველი იცოდა სულ ხუმრობდა, იცინოდა, სახლშიც და სახელოსნოშიც ხალისი შეჰქონდა.

ახლა ასე აღარ არის. მას შემდეგ, რაც კურცს პირველი შვილი ხარკოვთან მოუკლეს, იგი მელანქოლიამ შეიპყრო, როცა მისი მეორე შვილი რეკვევთან მოკლეს—კურცმა სახელოსნო დაკეტა, ხოლო როცა ცნობა მიიღო, რომ სტალინგრადთან მის უკანასკნელ შვილსაც კეფა გაუხვრიტა საბჭოთა სნაიპერის ტყვიამ—კურც მახერს ცალი მხარე დაუდამბლავდა და მისი სახლი გლოვამ მოიცვა.

გარეთ არ გამოდიოდა კურცი. ერზაცების რიგებში მეზობლებს ეზავნიდა, თვითონ კუთხეში იჯდა და კითხულობდა:

— ღმერთო მაღალო, რისთვის?

— ფიურერისთვის,—მიუგებდა ხოლმე შვილიშვილი, პატარა ჰანსი, რომელსაც საბავშვო ბანაკში თუ-ოიყუშივით ასწავლიდნენ ყველაფერში „ფიურერის“ სახელის მიტმასნებას.

კურც მახერს ეშინოდა ბავშვთან არაფერი წამომცდესო—„ფიურერის“ შესახებ, მაგრამ მაინც ველარ იკავებდა ჰიტლერის გაგონებაზე მოწოლილ აღშფოთებას და მრავალმნიშვნელოვანად წაილაპარაკებდა:

— ფიურერი, ფიურერი, ოჰ!

პატარა ჰანსს ეს არ გამოეპარა, მან საბავშვო ბანაკში გაიმეორა ბაბუას მიმიკა და თან დასძინა, რომ ბაბუა ასე გაბრაზების დროს შვრებაო. მეორე დღეს მისი კარი დააკაკუნეს. როცა კურც მახერმა კარი გააღო, სახლში ორი გესტაპოელი შევიდა.

— შენა ხარ კურც მახერი?

— დიახ, მე ვარ, ესე იგი, მე გახლავართ პატივცემულო ბატონებო, გთხოვთ... და მან სკამებზე მიუთითა.

— ნებართვას არავინ გკითხავს ყბედო,—შენ ის გვითხარი, როგორ უყურებ ფიურერის მთავარსარდლობას?

კურცს გააჟრჟოლა, არ იცოდა როგორ დაელაგებინა ფრაზა, რომ გესტაპოელებისათვის მოსაწონი აზრი გამოეთქვა.

— მე... მე აღტაცებული ვარ, მისი ღვთაებრივი ტალანტით....

—კარგი, ახლა ეს გვითხარი, ჩვენს შინაურ მდგომარეობას როგორ უცქერი, მაგალითად ბაზარს, პროდუქტების ხარისხს, ფასებს და ასე შემდეგ.

— მე... მე აღტაცებული ვარ,—მიუგო კურცმა ყალბი ხმით და ნაძალადევი ღიმილით,—ასე გასინჯეთ, გუშინ ჩინებული ნახერხის შნიცელი მოგვცეს, სულ რაღაც ოთხმოც მარკად, მართალია, ოთხმოცი მარკა ერთი თვის ხელფასია, მაგრამ..

გესტაპოელმა შეუბღვირა.

— კურც მახერ, შენს ხმაში სიყალბე სჩანს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა პესიმისტი იყო. იცოდე, ასეთი ანტისახელმწიფოებრივი ქმედობა სასტიკად ისჯება.

— გეფიცებით, პირიქით აღტაცებული ვარ... ორი დღეა არაფერი მიჭამია და მაინც ჩემი აღტაცება უსაზღვროა. გუშინ საბნები და ქვაბები წაგვართვეს გადასახადში და...

— მერე?—მრისხანედ შეეკითხა გესტაპოელი.

— მერე რა? აკი მოგახსენეთ რომ აღტაცებული ვარ მეთქი.

ამ სიტყვებმა გესტაპოელები მოთაფლა.

— ჰო, ასე კურც მახერ, იცოდე, რომ აღტაცება და ოპტიმიზმი უნდა გამოხატო ყოველთვის და ყველაფერში, ხომ გესმის?

— მესმის ბატონებო, აღტაცებული ვარ...

— აი ის ვერცხლის სათუთუნე, თაროზე რომ დაგიდვია, მე დიდათ მომწონს და მიმაქვს შენგან სახსოვრად, ხომ გესმის?—ამ სიტყვებზე გესტაპოელი წამოდგა და სათუთუნე ჯიბეში იკრა. კურც მახერს თვალთ დაუბნელდა, მუხლი მოეკვეთა, ხმა აუკანკალდა. უკანასკნელ შემონახულ ნივთს სტაცებდნენ, ნივთს, რომლითაც ლუკმა უნდა შეეძინა, ერზაცები და სუროგატები უნდა ეშოვა. მაგრამ მას სავალდებულო აღტაცება უნდა გამოეთქვა, რადგან სახელმწიფო ოპტიმიზმის წარმომადგენლები უსხდნენ სახლში.

— დიახ. დიახ... მე აღტაცებული ვარ, ფრიად აღფრთოვანებული... ჩახლეჩილი ხრინწით წარმოსთქვა კურც მახერმა, როცა გესტაპოელები წასასვლელად წამოდგნენ.

— კურც მახერ, თქვენთან უწყებაა, ჯარიმის უწყება, დაიძახა ეზოში შემოსულმა პოლიციელმა.

— მე... მე აღტაცებული... მექანიკურად წარმოსთქვა, მაგრამ სიტყვა აღარ დაუმთავრებია, მუხლი მოეჭრა და კარებში ჩაიკეცა.

ფარსადანი

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲯᲐᲑᲨᲘ

ნახ. ს. ნადარეიშვილისა



— ამხანაგო პოლკოვნიკო, მოწინავე ხაზიდან გვაცნობეს, რომ რუმინელები ტყვედ გვნებლებიან,

— რამდენია?

— რუმინელები?

— არა, მათი დივიზიები.

ᲡᲘᲪᲘᲮᲣᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

ჰიტლერმა, საბჭოთა კავშირის დანაკარგების შესახებ შეთხზული ჭორებით დაჩრდილა გებელსის ჭორებიც.

ნახ. მ. ვადბოლსკისა

ცრუპენტელა აპალონა „პიედესტალს“ ჰფლობდა ლხენით. მსოფლიოში ყველა იცნობს იმას მოლაქლაქე ენით.

მაგრამ ისიც კი დაჩრდილა „ფიურერმა“ ახალ ჭორით. კვარცხლბეკიდან აპალონა გადააგდო გორი-გორით.

ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

(მ ი ბ ა ძ ვ ა)

ღამეები არ მეძინა
ვათენებდი მე თეთრადა.
ქისას ვქსოვდი წვრილი მძივით,
დამთავრება სწრაფ მეწადა.

დავამთავრე, ვინც კი ნახა
მომიწონა, ყველამ აქო.
გავხსენი და შიგ ჩავყარე
არჩეული მე თამბაქო.

ავსწიე და გავუგზავნე,
უცნობ მებრძოლს, თანაც ვსწერდი:
„ვაჟკაცებო, თქვენთანა ვართ,
სამშობლოსთვის გვიძგერს მკერდი!

ვისაც გერგოს ჩემი ქისა,
ეს გახსოვდეს უნდა მარად,
რომ მე იგი დავამზადე
მამაც გმირის საჩუქარად!“

თან დავურთე პასუხისთვის
ჩემი მოკლე მისამართი
და უცნობზე ვიწყე ფიქრი,
და უცნობზე ვიწყე დარდი.

დიდხანს ვსწუხდი რომ პასუხი
ვერ მივიღე მე იქიდან.
მაგრამ გუშინ მომახარეს:
—„ბარათია ნალჩიკიდან!“

გავხსენი და წავიკითხე:
—„დიდ მადლობას გწირავთ, ნატა!
მე მხვდა თქვენი მძივის ქისა,
მან მხნეობა მომიმატა.

და თქვენს ფეშქაშს საჩუქარი
მოჰყვა კიდევ სასურველი,
მე ორდენი მომცეს ჯილდოდ,
თქვენ გქონიათ კარგი ხელი!“

ქვეშ ეწერა მისი გვარი
და საველე მისამართი...
და უცნობზე ვიწყე ფიქრი
და უცნობზე ვიწყე დარდი.

მ. გრიგალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგეღსის მონოლოგი

(რუსულიდან)

გერმანიის მთავარსარდლობის განცხადებაში ნათქვამია; „რუსეთის ჯარმა რამდენიმეთ მოიპოვა წარმატებანი, თუმცა უნდა ითქვას, რომ რუსები აწარმოებენ ოპერაციებს გერმანიის მთავარსარდლობის მიერ გათვალისწინებულ გეგმის თანახმად“. **გაზეთებიდან.**

უკან ვიხევთ და გავრბივართ,
მაინც არ ვშიშობთ მითა,
არა უშავს, გვცემონ ოღონდ,
გვცემონ ჩვენი გეგმითა.

ჩვენი ფრონტი მოძრავია,
მიტომ, უკან ჩვენ ვიხევთ,—
ერთ ადგილზე მიწა ვტკეპნოთ,
როცა ახალს არ ვიღებთ? —

არც ისე გვაქვს ცუდათ საქმე,
როცა გვცხებენ ჩვენ მაგრად—
ჩვენი გეგმით რომ ეს ხდება,
არ იციან მათ ალბათ.

ჩვენ ვიყავით სტალინგრადის
სანახავად, მერე რა?
თუმც განზრახვა კარგი გვქონდა,
გვექეიფა, გვემღერა,

მარა ჩვენი რა ბრალია,
არ მიგვიღეს სტუმრებად,
სტალინგრადში მაინც დარჩა
ჩვენი ჯარი უკლებლად.

არც ისე გვაქვს ცუდათ საქმე,
როცა გვცემენ, გავრბივართ,
დე, იცოდენ ყველამ, რომ ჩვენ
ერთ ადგილას არ ვყრივართ.

ჩვენი ჯარის მძორებითა
მოიფინა ევროპა
და ველები უკრაინის.
მაინც ჩვენ არ გვეყოფა

ჩვენი სივრცე,—ის ცოტაა,—
ჯარიც მიტომ გვიწყდება,
თუ ვერ ვიღებთ ახალ მიწებს—
თვით ვიქცევით მიწებად...

ყ—რა

აუცილებელი აფეთქება

უდიდეს აფეთქებას ჰქონდა ადგილი ნეაპოლში. აფეთქდა საომარი მასალის საწყობი.

ნახ. დონისა

— გაიგე, რა საშინელ აფეთქებას ჰქონდა ადგილი ჩვენს ქალაქში? ააფეთქეს საომარი მასალის საწყობი.

— დიახ, გავიგე. ეგ რა უნდა იყოს. მოსალოდნელია უფრო დიდი აფეთქება. უნდა აფეთქდეს მინისტრების „საწყობი“—მუსოლინის კაბინეტად წოდებული.

მეათი დარდი

ხშირია შემთხვევა, როდესაც იტალიელი ჯარისკაცები თავის ნებით გადმოდიან ჩვენს მხარეზე. **გაზეთებიდან**

ნახ. ა. კანდელაკისა

— ჩინებული მავთულხლართი გავაკეთეთ, ბატონო პოლკოვნიკო! აქ მაინც ვერ შემოვლენ წითელარმიელები.

— ეს მეორეხარისხოვანი ამბავია, ისე უნდა გააკეთო, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა ვერ მოახერხონ გაძრომა წითლების მხარეზე.

დაჭრილი და ჩაჭრილი

(ს ც ე ნ ა)

დივიზიის შტაბი. შემოყავთ გერმანელი ტყვეები. ერთერთი მათგანი შეჰყავთ ლეიტენანტ სიდორენკოსთან დასაკითხავად.

სიდორენკო (ტყვეს)—თქვენი სახელი და გვარი?

ტყვე—პაულ კინე!

სიდორენკო—თქვენი პროფესია?

ტყვე—ლიტერატურის პროფესორი. (თავხედურად სიდორენკოსკენ) ახლა თქვენ მიპასუხეთ: თქვენი გვარი, სახელი და პროფესია?

სიდორენკო—ლიტერატურის პროფესორო, პაულ კინე! ალბათ მოგეხსენებათ, რომ თქვენ ამჟამად ტყვედ იმყოფებით, მე კი არ ვყოფილვარ, არც ვარ და არც ვფიქრობ ვიყო თქვენი ტყვე, გესმით?

ტყვე — დიახ, მესმის!

სიდორენკო—ამიტომ მე უფლება მაქვს არ გიპასუხოთ თქვენს კითხვაზე, თქვენ კი ვალდებული ხართ მიპასუხოთ, მიუხედავად ამისა, მე მაინც გაგაცნობთ ჩემს თავს. ჩემი გვარი და სახელი თქვენთვის არაა საინტერესო. რაც შეეხება ჩემს პროფესიას, ამჟამად, როგორც ხედავთ, სამხედრო პირი ვარ, ლეიტენანტი გახლავართ, ორდენოსანი, ვიყავი დაჭრილი თქვენი ტყვიისაგან. ძირითადი ჩემი პროფესია იყო ზეინკლობა, შემდეგ ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი გახლდით.

ტყვე (ცინიკურად)—მაშ, ჩემი სტუდენტი იქნებოდით, რომ...

სიდორენკო—ვეჭვობ, თქვენი სტუდენტი რომ ვყოფილიყავი. კმარა, ჩვენი საუბარი სხვანაირად უნდა წარიმართოს. უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ თქვენ ტყვე ბრძანდებით და ყოველგვარ ჩემს შეკითხვაზე ზუსტი პასუხი უნდა მომცეთ. გასაგებია?

ტყვე—დიახ, გავიგე.

სიდორენკო—ბატონო პროფესორო, პაულ კინე, თქვენ ალბად კარგად გეცოდინებათ ლევ ტოლსტოი?

ტყვე—როგორ არა. ლევ ტოლსტოი, თქვენი კომპოზიტორია, მისი მუსიკა ძალიან მომწონს. იგი გარდაიცვალა მეთვრამეტე საუკუნეში. ბერლინში რამდენჯერ მსმენია წინად მისი ოპერები.

სიდორენკო—ოჰო, ბატონო პროფესორო, თქვენ მართლა კარგად გცოდნიათ ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება. თქვენ ალბათ წაკითხული გექნებათ ჩაიკოვსკის ნაწარმოებები?

ტყვე—დიახ, ჩაიკოვსკი რუსი დიდი მწერალია, სხვათაშორის მისი პატარა საბავშვო წიგნი ვნახე ჩვენს მიერ განადგურებულ ერთერთ ბიბლიოთეკის წიგნებში. მგონი საბავშვო მწერალი უნდა იყოს, ჩუ...ჩუ...ნოვსკი, ჩა...ჩაიკოვსკი.

სიდორენკო—ჩინებულია, თქვენ ალბათ მალე აკადემიკოსიც იქნებოდით, რომ...

ტყვე—დიახ, ვიქნებოდი და ვიქნები კიდეც!

სიდორენკო—საქმე იმაშია, პატივცემულო პროფესორო, რომ თქვენი მომავალი მხოლოდ თქვენზე არაა დამოკიდებული, რაც შეეხება თქვენს ცოდნას ლიტერატურის დარგში,—მიუხედავად იმისა, რომ თქვენ პროფესორი ბრძანდებით და მე კი სტუდენტი, უნდა დაგისვათ ნიშანი, რომელიც კვერცხსა გავს. გაიგე?

ტყვე—ვერა, ვერ გავიგე. კვერცხებს უკრაინაში ყოველდღე მივირთმევდი, კვერცხის მსგავსი ნიშანი კი ჩემთვის გაუგებარია.

სიდორენკო—დიდიხანია რაც მოიპოვეთ პროფესორის წოდება?

ტყვე—დიდი ფიურერის ხელისუფლების დამყარებისთანავე მომანიჭეს, ჰიმლერის შუამდგომლობით.

სანდრო

„ᲣᲚᲐᲮᲙᲐᲠᲝᲜᲘ“

„ოლიმპის მთის რაიონში რამდენიმე ათასი პარტიზანი ითვლება“.

გაზეთებიდან.

ნახ. გ. ისაევისა

ᲖᲔᲣᲡᲘ (ᲜᲔᲞᲢᲣᲜᲘ)—რა დაგმართია? სად გარბიხარ?

ᲜᲔᲞᲢᲣᲜᲘ—ᲣᲚᲐᲮᲙᲐᲠᲝᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲑᲘᲓᲝᲠ. ᲖᲔᲣᲡᲘ ᲤᲘᲚᲐᲠᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲝᲯᲐᲒᲔᲡ. ᲣᲦᲜᲝᲜᲐᲓᲔ ᲓᲐᲒᲠᲩᲐ.

ᲖᲔᲣᲡᲘ—ᲛᲔ ᲙᲘ ᲕᲘᲜᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲔᲨᲠᲔᲓ. ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲬᲔᲜᲔ—ᲛᲔᲪᲘ ᲣᲦᲜᲝᲜᲐᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲣᲤᲔᲑᲘᲡ.

ᲚᲔᲩᲘᲫᲒᲐᲣᲚᲘᲡᲘ ᲣᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲯᲝᲯᲐᲚᲣᲩᲘ ᲭᲘᲠᲘᲡᲘ

(ᲬᲘᲠᲚᲔᲚᲘ ᲜᲘᲝᲜᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲣᲠᲝᲞᲘᲓᲐᲜ)

მიიღე ჩემგან, ნიანგო, ეს მცირე მონალეწეწები,
ეურიპიდან გწერ ამ ბარათს—მელანში კალამ ნაწეწი.
შენი განრიგით წამოვიელ, მე—უჩინარად მავალი.
ბერლინს ვეუწევე, რომს ვიყავ, სხვა გზებიც განვეცე მრავალი,
ახლოს დავზეიერე ჰიტლერი: ჯდა ჩამოშვებულ ყურებით,
სარნაყლაპივით წინ ედგა „ლუჩ“ და სხვა მსახურები:
ლაუშ ჩაფლიიათ ფაშიზმის ღერძგატეხილი ურემი,
—რა მოუუბერხოთ ამასო? —მოსთქვამდნენ ბედის მდურები.
—რა მოუუბერხოთ? მე ვეტყვიო,—სთქვა „ფიურერმა“
სვენებით,—
ბლიც-კრიგის ნაცვლად შევაბათ შიგ ტოტალური ცხენები,
ზედ შემოვასხდეთ, ღეზი ვკრთთ, შემოუძახოთ წრუპენით,
მაშინ გავაორივეთ ლაფიდან, არ დაგვჭირდება წუწუნი.

რაც ბრძანა „მთავარსარდალმა“—ეფრეიტორმა შეგბულმა—
ის შეასრულა უმალვე მისთა მსახურთა კრებულმა,
—ძალა ვერ ვუყავით ფიურერ ღერღლმი იწეეს ურემი,—
თუმც ბეერსა ვცდილობთ ოფლში და სისხლშიგან განაცურები,
ცუდი დაგვიდგა ტარისა, გულს გვემატება წუხილი.
ვოლგის და დონის პირიდან უწყვეტლივ მოდის ქუხილი,
ცეცხლი წვიმს ჩვენთვის ყუბანში, რეეთან ბრიგალი
ბრიალებს,
არიელთ ბურდღა—რუსეთში კორიანტელად ტრიალებს,—
ის აფრიკაშიც ამტყდარა სამეში დაუცხრომელი.
შესაძრომს ეძებს „გმირულად“ იქ ფელდმარშალი რომმელი.

ეურჩამოყრილმა „სტრატეგმა“ სეედით ყელმოღერებულმა,
ქეჩოს ქურდულად მოეხანთო, კვლავ ბრძანა განრისხებულმა:
—ერთხელ თქმულს ორჯერ არ ვიტყვი—მე ასეთი ვარ
ბუნებით,
სჯობს წამხდარ საქმეს ვეშველოთ ტოტალურ შეწრუპენებით!

რაც ბრძანა „მთავარსარდალმა“ ეფრეიტორმა ქებუღმა—
ის შეასრულა უმალვე ღერძის მსახურთა კრებულმა:
და ბერლინიდან გაისმის—ვით სახეურების ღრიალი—
ჯორი—ცოდ გამარჯვებაზე და ტოტალური ბრიალი.
მაგრამ მათ წამხდარ საქმეებს ეს რაღას გაპოადგება,—
ქარი რომ მოსტეხს ლაპპალ ხეს—ის ზეზე ვეღარ ადგება,
ურემიც ბრიალს უმატებს—როს დიდი ძალა ადგება.

ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ

„ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡᲘᲮᲐᲠᲣᲦᲘ“

ჰანს ტაცებგერი ერთერთი ოკუპირებული რაიონის კომენდანტი იყო. იოზეფ ღლეტენბერგი—რაიონში დაბანაკებული საოუბაციო ნაწილის უფროსი.

ჰანსსა და იოზეფს ყველა გულითად მეგობრებად თვლიდა: თვითონაც არ მალავდნენ ისინი მათ შორის ასეთ მეგობრულ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით ქეიფის დროს.

—ტაცებგერი ძმაში არ გამომერჩევა.

—ღლეტენბერგისათვის თავსაც არ დავიშურებ,—ამბობდნენ ისინი ერთმანეთის მიმართ.

ერთხელ, ღამით, როცა ორივენი რაიონულ ქალაქის ბურგომისტრის ოჯახიდან დაბრუნდნენ საკმაოდ შეზარხოშებულნი,—ღლეტენბერგი საწერ მაგიდას მიუჯდა, რაღაც მწარე ფიქრებს მიეცა და წინდადებულ თეორ ქაღალდზე ფანქრით ჩხაპნა დაიწყო. ღლეტენბერგის შინაგანმა მოღელვარებამ ტაცებგერის ყურადღება მიიქცია და შეეკითხა:

—იოზეფ, რა დაგემართა, ცუდათ ხომ არ გრძნობ თავს?

—არაფერია, ისე რაღა, დღეს წერილი მივიღე და...

—ვისგან რა ამბავია? ცუდი ხომ არაფერი მომხდარა?—გაოცებით შეეკითხა ღლეტენბერგი მას.

—ამაზე ცუდი რაღა იქნება,—საკოლგ მოლატობს, სხვაზე გაცვლას ფიქრობს: და იოზეფმა თავი ჩაქინდრა. ჰანსს უნდოდა ნუგეში ეცა მისთვის, მაგრამ იოზეფი წამოხტა და თავის ოთახში გიჟივით შეიჭრა, ჰანსი რამდენჯერმე შეშოდა, ცბიერად ჩაიხითხითა და თავი ჩაილაპარაკა:

—საკოლე მოლასო, ჰმ, დიდი ამბავი მომხდარა!

და იგი საწერ ფასკენ გაექანა. იოზეფისგან დაჩხაპნილიყოდ დაეცქერდა და თვალები გადმოკა.

—ბიეოს, იოზეფ ხეშრობს,—და მან ერთიოდიგიგივე ორიგი: რამდენიმეჯერ ამოიკითხა: ს

რუსული იუმორი

ნახ. ა. ბაჟენოვისა

საიუბილეო თარიღები

ბღოკირებულ გარნიზონში

ნახ. ა. კანევსკისა

— **რატომ სცემს შამკე გრუბერს?**

— **იმიტომ, რომ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა და გრუბერმა—მოასწრო მისი დაკვლა.**

ზოოლოგიურ პარკში

ფიურერის „მოკავშირე“ ერთერთ ქვეყანაში გერმანელი ოფიცერი ადგილობრივ მკვიდრ ქალს დაუმეგობრდა. ერთ დღეს „მეგობრები“ ზოოლოგიურ პარკში შევიდნენ. მხეცებს ათვალიერებდნენ პარკი გერმანელი ჯარისკაცებით იყო ავსებული. მათგან გაღიზიანებით დაქანცულ და დამშეულ მხეცებს ემჩნეოდათ: ძველებურად აღარ გაღმუოდნენ. ზოგიერთ მნახველს ეს მხეცთა მშვიდობიანობის ნიშნად მიაჩნდა.

— ხედავ ლომს, როგორ მინაბულა?—წარმოსთქვა ქალმა.

— ვეფხვიც მშვიდათ არის!—შენიშნა ოფიცერმა. ამ დროს მათთან გალიის წინ გერმანელი ჯარისკაცებიც მოჯარდნენ.

— მეოთხედ მოვდივარ ამ პარკში და მაგათი ხმა არ გამიგონია, მშვიდობიანი მხეცებია.—გააგრძელა ქალმა საუბარი.

— მართლა?! გეტყობათ თქვენ, გულადი ყოფილხართ,—შენიშნა გერმანელმა ოფიცერმა.

— რა მოგახსენოთ!—უთხრა ქალმა.

— მაინც რა მოხდება, რომ ეს მხეცები გალიიდან გამოუშვან? შეეკითხა მას გერმანელი ოფიცერი.

ქალმა გალიის წინ მიჯარებულ გერმანელ ჯარისკაცებს ზიზღით თვალი შეავლო და წარმოსთქვა:

— მაშინ ყველა მხეცები ამ შენობაში—გარეთ აღმოჩნდებიან.

მ-ზა

პროექტი

გერმანულ გენერლების ტყვედ ჩავარდნის წესებისათვის

(შემოკლებით)

ავტორისაგან: დოკუმენტი, რომელსაც ქვევით ვბეჭდავთ, აღმოჩენილია ერთერთ ფრონტზე განადგურებულ გერმანულ შტაბის ქალალდებში. დოკუმენტი წარმოადგენს დაუსრულებელ ხელნაწერს მისი ავტორია შტაბის გადამწერი ერიხ გაბენიხტსი, ბერლინის ვეტერინალურ მეცნიერებათა და უმაღლეს რასიულობის აკადემიის დოცენტი, ჰიტლერული პარტიის წევრი 1931 წლიდან.

1. წინასიტყვაობის მაგიერ

უკანასკნელმა ამბებმა გამოამჟღავნეს არსებითი დეფექტი გერმანიის სამხედრო მეცნიერებაში. გერმანელ გენერლების მასობრივად ტყვედ ჩავარდნა სრულიად მოულოდნელი იყო, რადგანაც წითელ არმიასთან ომის დაწყებამდე ასეთ მოვლენას გერმანიის არმიაში ადგილი არ ჰქონია. ამიტომაც ამ საქმეში არ არსებობდა სათანადო გამოცდილება. უნდა ითქვას, გერმანელ გენერლების მითუმად ჩაბარება ტყვეებად, ეს ის ახალი მიღწევაა, რომელიც წითელმა არმიამ გერმანიის სამხედრო მეცნიერებაში შეიტანა.

2. როდის უნდა ხვდებოდეს ტყვედ ჩაბარება?

ტყვედ ჩაბარებისათვის შესაფერ დროის შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ გერმანელი გენერალი დროზე ადრე ჩაბარდა ტყვედ, შეიძლება იგი მოღალატედ იქნას მიჩნეული, მაგრამ არც გვიან ჩაბარებაა სამჯობისი, რადგანაც შესაძლოა მიცვალებულთა სიაში მოხვდეს და ჰიტლერულ გმირად ჩაირიცხოს.

შესაფერ მომენტად უნდა იქნას მიჩნეული, როცა წითელი არმიის მეთაური წინადადებას აძლევს მას კაპიტულაციისათვის, გერმანელმა გენერალმა უეჭველად კაპიტულაცია უნდა უარყოს, მაგრამ იმავე დროს ემზადოს ტყვედ ჩაბარებისათვის.

3. მზადება ტყვედ ჩასაბარებლად.

ტყვედ ჩაბარებისათვის მზადება გერმანელმა გენერალმა უნდა აწარმოოს მოფიქრებით, ამისათვის საჭირო იქნება:

ა) წინასწარ გადაგზავნოს გერმანიაში, ეგრეთწოდებული რუსეთში „ორგანიზებული“ ძვირფასი ნივთები, როგორიცაა ძვირფასეულობა, ავეჯი, თეთრეული, ტანსაცმელი და სხ.

ბ) უნდა მოსპოს საბჭოთა კავშირში ჩადენილ გმირობის ყოველგვარი ნიშანი, როგორიცაა ფოტოგრაფული სურათები სახრჩობელებისა, რომელზედაც კიდია დამხრჩვალი მოქალაქენი, სურათები ცოცხლად დამწვარ ტყვეებისა, გაუპატიურებული ქალებისა და სხვა.

4. ტყვედ ჩაბარება

ტყვედ ჩაბარების დროს არ შეიძლება აღელვების გამოხატვა და მადლობის გამოცხადება იმ წითელ არმიელებისათვის, რომლებმაც გერმანელი გენერალი ტყვედ ჩაიგდეს. გერმანელმა გენერალმა უნდა იცოდეს, რომ ის სიხარული, რომელიც შეიძლება გამოამჟღავნოს რიგითი ჯარისკაცმა ტყვედ ჩავარდნის დროს, გერმანული არმიის გენერლისათვის დაუშვებელია. მეორეს მხრივ არც ის შეიძლება, რომ მისი სახე მწუხარებას გამოხატავდეს და გაიძახოდეს „დამაკავეთ, მინდა თავი მოვიკლა და სხვა“.

5. ტყვედ გაყოლა

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ქუჩის მოძრაობისა და ტრამვაიში ჩაჯდომის წესების დარღვევა. აკრძალულია ერთმანეთისათვის ხელის კვრა და ტყვედ ჩავარდნა უნდა ხდებოდეს „ჩინის“ მიხედვით, პირველად უნდა ჩაბარდეს ტყვედ ფელდმარშალი—გენერალი.

6. ტყვედ ყოფნის დროს

ტყვედ ყოფნის დროს გერმანელი გენერალი ვალდებულია იცოდეს, რომ გერმანელისათვის წესიერება არის პირველი და უწმიდესი მოვალეობა. ღირსების დაკარგვის შემდეგ გერმანელმა გენერალმა უნდა სუფთად იქონიოს კბილები და ფრჩხილები, ტყვე გერმანელმა გენერალმა უეჭველად უნდა იქონიოს ხელში ცხვირსახოცი, ვინაიდან შესაძლოა შეხვდეს გერმანელი ჯარისკაცი და სახეში შეაფურთხოს მას. იგი მაშინვე გაშლის ცხვირსახოცს და...

აქ თავდება ხელნაწერი.

გერმანულიდან თარგმნილია **დ. ზასლავსკის** მიერ.

„თავისუფალი“ არჩევნები დანიაში

ნახ. ა. კანდელაკისა



ჰორაციო—ხედავ ჰამლეტ, რას დაემსგავსა ეს ოდესღაც ხალხთა საკრებულო?!

ჰამლეტი—ეს ჰორაციო, ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, — რომ ჩვენი დანია ნამდვილი საპყრობილეა!

კაღმის მოსმით

ჰიტლერი გამარჯვებებს დაეძებს იაფ ფასად.
ფაშისტ ურჩხულთა ზარალს ამცირებს ერთი ასად.
წითელ ჯარს „ანადგურებს„ კალამის ერთი გაკვრით,
ათობით დივიზიებს „სპობს“ ხელზე ხელის დაკვრით
და ამ ბოლო დროს თითქოს მოკლა ბებერი ჯიხვი,
ეთერში გააფრინა ფრთამოტეხილი იხვი.
ვასალებს უთხრა: ბრიყვნო, აღარ შემხედოთ მტრულად,
დახეთ საბჭოთა ჯარი გავაცამტვერე სრულად.
დონის და დნეპრის შორის არ დარჩა ერთი კაცი,
აბა თქვენ იცით რამდენს ჯარს მომაწოდებთ აწი.
მაგრამ ისმება კითხვა: თუ მოსპო ჩვენი ჯარი,
რად ჰკრებს ის ახალ ბანდებს, რაღა საჭირო არი?

ლ. ძნელაძე

ე ღ ვ ა

მადლობის გამოცხადება

რომი. მუსოლინმა ამას წინად თავის ბრძანებაში შეაქო იტალიის მერვე არმია, რომელიც, მისი სიტყვით, ამჟამად გმირულად იბრძვის საბჭოთა კავშირის ფრონტზე. ამასთან დაკავშირებით მერვე არმიის ჯარისკაცების მიერ დუჩემ მიღო სამადლობელი დეპეშა, რომელიც გაოგზავნილია... საიქიოდან.

„მოდის ტურფა გაზაფხული“

ვაშინგტონი. აქ მიღებული ცნობების მიხედვით გერმანიის შპიონაჟის მომსახურე ჩიტები საჭიროდ აღარ თვლიან ბალახ-ბულახის ძებნას, რადგან მათ უკვე გამონახეს შპიონაჟის მზამზარეული ბუდეები ესპანეთის საელჩოების შენობების სახით.

გაიხსენეს პარტიზანები

ბერლინი. გუშინ ბერლინის პროტესტანტთა ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი იმ გერმანელ ჯარისკაცთა სულის შესანდობელად, რომლებიც სხვა სამხედრო ეშალონებთან ერთად უკრაინაში გაიგზავნენ.

ფრიცის სიზმარი

ფრიცმა სიზმარში იხილა,
რაც ცხადში ენატრებოდა:
ძაღლი დაეკლა მსუქანი,
სწვავდა და სუნით ტკბებოდა.

—

მშიერი ჰანსი გვერდს უჯდა
—„მაჭამე!“—ეხვეწებოდა.
მას ერთი ძვალი გადუგდო
ხტოდა, ცერებზე დგებოდა.

—

მწვადი შეიწვა. რა მწვადი!—
ფრიც შეჭმას ეპირებოდა...
ამ დროს... ზღაპარის წესითა
ფრიცს უნდა გაჰღვიძებოდა,

—

მაგრამ ვაგლახ მას ეს ბედი
მას უკვე აღარ რგებია...
საბჭოთა ნაღმმა იჭექა,
მას აღარ გაჰღვიძებია.

მურმანი

შაირები

დაუკარ ჩემო ჩონგურო,
შაირი მსურს ვთქვაო.
ჰიტლერელებს გულში ტყვია
და კბილებში ქვაო.

—

აღმა კოდალი ვისროლე,
ქვევით მოწინწილობდაო,
„ფიურერი“ ჩვენს ჩაყლაპვას
რაზანია ცდილობდაო,
მაგრამ ყელში გავეხირეთ,
აგერ კიდეც იხრჩობაო.
ვაჟკაცებო, მაგრად დავცხოთ,
ახლა გვინდა ბიჭობაო.

—

მუსოლინმა დაამზადა
მაკარონი, ვერმიშელი,
ჰიტლერს უთხრა: მე ეს ვიცი,
ბრძოლებში კი ვერ გიშველი.
ვერც რუსეთში დაგეხმარე,
ვერც ტუნისში დავდგებიო,
მართალს ვამბობ, ჩვენი საქმე
არის ამის თავდებიო.

ი. ზეგნელი

შენაცვლება

იტალიის ბევრ ნავთსადგურში რეკვიზირებულია სათევზაო ნავები, საბუქსირო გემები და სხვა მცირე ზომალდები.

ნახ. დონისა



— **გამარჯობა ძმობილო! როგორ მოეწყვე ახალ ბინაზე?**

— **არა მიშავს ჩემო კარგო, კრეისერის კაპიტნის კაბინეტში ვართ.**

— **მე კი მისი მოადგილის კაბინეტი დავიკავე. სამაგიეროდ ხომ ხედავთ როგორ არხეინად მოწყობილა კაპიტანი ჩვენს ყოფილ ნავში.**

43-48

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანი და უკანანი

ნახ. დონისა

— რატომ არის რომ ჩვენი ლეიტენანტი უკან რჩება და ჩვენ კი შეტევაზე გვეარეკება?

— იმიტომ, რომ უკანდახევის დროს წინ იქნება.

გადაჭარბეს

„ჩინგის ყაენის და ბათოს შემოსევა მართალია, ბარბაროსული იყო, მაგრამ მაინც არ ატარებდა ისეთ და ხელოვნებულ მხეცურ ხასიათს, როგორც ტოტალურიომი, რომლებსაც გერმანელები ქადაგებენ და ეწევიან“.

გაზეთებიდან

ნახ. მ. ვადბოლსკისა

ჩინგის ყაენი (ბათოს)—„ი მესმის ნამდვილი მხეცი,—მე და შენ მტრედებად მოვჩანვართ მ. გასთან.

ფრონტის იუმორი

ტრანსპორტის საკითხი

— რატომ ასე ბრაზობენ ერთმანეთზე ხორტი და ანტონესკუ?

— არაფერია! იმათ რაღაც წვრილმანი უთანხმოება აქვთ ტრანსპორტის საკითხის გამო.

— ესე იგი?

— ხორტის უნდა უნაგირი შეადგას ანტონესკუს, ანტონესკუს

-ის მხრით განზრახვა აქვს აღვირი ამოსდოს ხორტის.

(„მებრძოლი დროშა“)

მძიმე დანაკლისი

— ბატონო ობერ-ლეიტენანტო! ფელდფებელი ჰანს კვაკერი დაზვერვის დროს ჩაგარდა ტყვედ.

— დიდად მეწყინა, დიდად!

— ჰო, კარგი ჯარისკაცი იყო!

— არა, მე ამაზე არ ვამბობ: მასთან ერთად ტყვედ ჩავარდნილა ჩვენს გუნდში არსებული ერთადერთი თბილი შარვალი.

(„სტალინელი)“

შენიღბვა გერმანულად

— ბატონო გენერალო, ჩემი ჯარისკაცები სიმშილისაგან აჩრდილებს დაეშსგაგსნენ.

— ჩინებულია! ეს მათ საშუალებას მისცემთ უკეთ დაემალონ მოწინააღმდეგეებს ხეობებში.

(„სამშობლოს გმირი“)

უნუგეშო მდგომარეობა

— არ იცით, ფრაუ პუმკე, რამ მოჰკლა ბატონი შტრუბელბუბელ?

— როგორ არა: ის მოიწამლა ერზაცპროდუქტებით!

— მაგრამ მას ხომ აქიმობდნენ! მას აძლევდნენ წამლებს!

— აი სწორეთ იმ ერზაცწამლებმა მოუღეს ბოლო.

(„მამულის სადიდებლად“)

ხარედაქციო კოლეგია.

Тбилиси. Сатирико—юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1943 წ. 26/IV. ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოც. № 15 შეკ. № 375 უე 0360